ხელშეკრულება N105
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი 6 სექტემბერი **2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ, **შპს „სითი ლოფტი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური მენეჯერის **ლევან ბერულავას** სახით (**მის:** ქ.თბილისი, კოსტავას N14; **ტელ:** 2020002 **ს/კ:** 404909934; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22 ა/ა GE81BG0000000846545900),
"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის კინოინდუსტრიის ნაწილის („გადაიღე საქართველოში") განხორციელების მიზნინით საქართველოში LBI Entertainment-ის მენეჯერის Ilene Feldman-ის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საქმიანი ვახშამის გამართვის მომოსახურების შესყიდვა (CPV55520000).
1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ROOMS HOTEL TBILISI
1.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 6 სექტემბერს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს არაუმეტეს **67,26 (სამოცდაშვიდი ლარი და 26 თეთრი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.
2.3. შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები, ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოსის, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორს ანა კვარაცხელიას, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.
3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემოქმედებითი მეწარმეობის და მომსახურების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სოფიო ბენდიაშვილი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო	შპს „სითი ლოფტი"
დირექტორი	გენერალური მენეჯერი
ანა კვარაცხელია	ლევან ბერულავა
----------	----------

LEPL ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT AGENCY * 204582763 *

CITY LOFT LTD | შპს "სითი ლოფტი" 404909934 | საქართველო / GEORGIA
ROOMS HOTEL • TBILISI •